

შპს „გოლდენ ეიე“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
დასკვნის ბოლო გვერდი	12

შპს „გოლდენ ეივ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	3	604,560	1,405,209
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,088,935	1,525,515
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	5,220,629	3,322,690
ძირითადი საშუალებები		1,078	1,078
გადახდილი ავანსები	6	5,413,790	4,457,584
საგადასახადო აქტივი		368,990	32,872
სულ აქტივები		14,697,982	10,744,947
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,415,229	947,491
მიღებული ავანსები		151,283	11,538
სულ ვალდებულება		1,566,511	959,029
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		13,131,470	9,785,919
სულ კაპიტალი		13,131,470	9,785,919
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,697,982	10,744,948

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.

შპს „გოლდენ ეივ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	3	604,560	1,405,209
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,088,935	1,525,515
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	5,220,629	3,322,690
ძირითადი საშუალებები		1,078	1,078
გადახდილი ავანსები	6	5,413,790	4,457,584
საგადასახადო აქტივი		368,990	32,872
სულ აქტივები		14,697,982	10,744,947
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,415,229	947,491
მიღებული ავანსები		151,283	11,538
სულ ვალდებულება		1,566,511	959,029
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		13,131,470	9,785,919
სულ კაპიტალი		13,131,470	9,785,919
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,697,982	10,744,948

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.



შპს „გოლდენ ეივ“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	15,075,816	11,925,718
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	9	(10,989,180)	(8,308,792)
საერთო მოგება		4,086,637	3,616,926
ხელფასის ხარჯი		(223,196)	(204,734)
იჯარის ხარჯი		(183,505)	(123,184)
ფინანსური ხარჯი		(12,585)	(11,033)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(6,712)	(1,519)
სხვა ხარჯები	10	(51,930)	(198,806)
წმინდა მოგება		3,608,709	3,077,650

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.


შპს „გოლდენ ეი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	15,075,816	11,925,718
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	9	(10,989,180)	(8,308,792)
საერთო მოგება		4,086,637	3,616,926
ხელფასის ხარჯი		(223,196)	(204,734)
იჯარის ხარჯი		(183,505)	(123,184)
ფინანსური ხარჯი		(12,585)	(11,033)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(6,712)	(1,519)
სხვა ხარჯები	10	(51,930)	(198,806)
წმინდა მოგება		3,608,709	3,077,650

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.



შპს „გოლდენ ეიე“
 კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	7,760,900	7,760,900
წმინდა მოგება/(ზარალი)	3,077,650	3,077,650
დივიდენდის გატანა	(1,052,632)	(1,052,632)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	9,785,919	9,785,919
წმინდა მოგება/(ზარალი)	3,608,709	3,608,709
დივიდენდის გატანა	(263,158)	(263,158)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	13,131,470	13,131,470

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.


შპს „გოლდენ ეი“
 კაპიტალში მოძრაობის ანგარიშგება, ლ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	7,760,900	7,760,900
წმინდა მოგება/(ზარალი)	3,077,650	3,077,650
დივიდენდის გატანა	(1,052,632)	(1,052,632)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	9,785,919	9,785,919
წმინდა მოგება/(ზარალი)	3,608,709	3,608,709
დივიდენდის გატანა	(263,158)	(263,158)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	13,131,470	13,131,470

დირექტორი

მირადინ ყურბანოვი

26 სექტემბერი, 2025 წ.



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გოლდენ ეივ“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 431165516, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, სოფელი ყარაჯალა.

კომპანია ახდენს ელექტროტექნიკის, ტელევიზორებისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტს საქართველოში და რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე.

საზოგადოების დამფუძნებელია მირადინ ყურბანოვი, პ/ნ 20001069375, რომელიც ასევე არის კომპანიის დირექტორი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დამატებითი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური

აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია ამ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ

გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანებელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლობები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული	22,841	26,089
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	456,075	1,097,755
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	125,645	281,364
	604,560	1,405,209

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,088,935	1,525,515
	3,088,935	1,525,515

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	5,220,629	3,322,690
	5,220,629	3,322,690

6. გადახდილი ავანსები

	31.12.2024	31.12.2023
რეზიდენტ კომპანიებზე გადახდილი ავანსები	239,293	223,244
არარეზიდენტ კომპანიებზე გადახდილი ავანსები	5,174,496	4,234,340
	5,413,790	4,457,584

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,415,229	947,491
	1,415,229	947,491

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15,075,816	11,925,718
	15,075,816	11,925,718

კომპანია ახდენს ელექტროტექნიკის, ტელევიზორებისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტს საქართველოში და რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10,989,180	8,308,792
	10,989,180	8,308,792

10. სხვა ხარჯები

	2024	2023
კომუნიკაციის ხარჯები	884	989
კომუნალური ხარჯები	900	641
საკონსულტაციო ხარჯები	712	712
სხვა ხარჯები	2,994	10,706
საგადასახადო ხარჯები	46,440	185,759
	51,930	198,806

11. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები და შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვთ, პირდაპირ ან ირიბად ზემოთ ხსენებულ პირებს;
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები არის შემდეგი:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2024 წ.	
ხელფასის ხარჯი	144,000	
მენეჯმენტის ანაზღაურება	2023 წ.	
ხელფასის ხარჯი	144,000	
სხვა ოპერაციები	2024 წ.	2024 წ.
დივიდენდი	263,158	1,052,632

12. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს გააგრძელოს ოპერირება ბაზარზე.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ რეპორტის გაცემის თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.